გოჩა ჟორჟოლიანი - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარი პროდიუსერი.

2013 ივლისამდე მუშაობდა პირველი ინტერნეტ ტელევიზიაში - კულტურის შესახებ „არტარეა TV2.0“-ში კომერციული დირექტორად.

2012 წლის ოქტომბრამდე - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული კინოცენტრში სუბსიდირების დეპარტამენტის უფროსია, 2008-2010წწ ამავე ორგანიზაციაში - დირექტორის პირველი მოადგილე და ფილმწარმოების განყოფილების უფროსი.

2004 წლიდან სარეკლამო მიმართულებით მუშაობდა: როგორც სარეკლამო სააგენტოს კომერციული დირექტორი, შემდგომში - აღმასრულებელი დირექტორი.

კინო- და ტელე- ინდუსტრიაში მოღვაწეობს 90-იანი წლებიდან, როგორც გადამღები ჯგუფის დირექტორი, აღმასრულებელი პროდიუსერი და ტელე-პროგრამების ხელმძღვანელი. მუშაობდა როგორც პროდიუსერი რამდენიმე სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმზე, დოკუმენტურ ფილმებზე და სარეკლამო რგოლებზე.

განათლებით ეკონომისტი, ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს. არის ქართული კინოს განვითარების სტრატეგიის თანაავტორი (2009წ), პერიოდულად მისი პუბლიკაციები სხვადასხვა ბიზნეს-გამოცემებში იბეჭდება.